



2023

შპს “MAGNIUM +”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ძირითადი საქმიანობა	9
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში	17
5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	17
6. ძირითადი საშუალებები	18
7. არამატერიალური აქტივები	19
8. მარაგები	19
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
11. კაპიტალი	20
12. მიღებული სესხები	20
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
14. საოპერაციო შემოსავალი	21
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
16. დისტრიბუციის ხარჯები	22
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	22
19. ფინანსური ხარჯი	23
20. მოგება / (ზარალი) საკუთარ სხვაობიდან, წმინდა	23
21. მოგების გადასახადის ხარჯი	23
22. ფინანსური რისკების მართვა	23
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MAGNIUM+“ - ის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „MAGNIUM+“ - ის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფის ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენა

შვილობილი კომპანიები მშობელი საწარმოს მიერ დაფუძნდა 2023 წელს (შენიშვნა 2) და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფი პირველად წარმოადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ინფორმაციის ეფექტიანი მიწოდებისა და შესადარისი ხარისხობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფისთვის ჯგუფის მენეჯმენტმა გამოიყენა 2022 წლის ინდივიდუალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგება.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტულიგარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდაკონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან. ჩვენი აზრით, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MAGNIUM+“ - ის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „MAGNIUM+“ - ის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფის ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენა

შვილობილი კომპანიები მშობელი საწარმოს მიერ დაფუძნდა 2023 წელს (შენიშვნა 2) და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფი პირველად წარმოადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ინფორმაციის ეფექტიანი მიწოდებისა და შესადარისი ხარისხობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფისთვის ჯგუფის მენეჯმენტმა გამოიყენა 2022 წლის ინდივიდუალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგება.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცვას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვემავეთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტულიგარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდაკონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან. ჩვენი აზრით, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს "MAGNIUM +"

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 *
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	5,691,081	5,286,986
არამატერიალური აქტივები	7	60,795	52,688
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,751,876	5,339,674
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	34,344,933	20,899,442
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	15,538,715	18,570,937
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,614,778	5,806,251
სულ მიმდინარე აქტივები		52,498,426	45,276,630
სულ აქტივები		58,250,302	50,616,304
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	8,830	8,830
გაუნაწილებელი მოგება	11	51,683,774	34,188,367
გადაანგარიშების ეფექტი		7,236	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი		51,699,840	34,197,197
არამაკონტროლებელი წილი		32,919	-
სულ კაპიტალი		51,732,759	34,197,197
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	1,093,360	1,919,281
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,093,360	1,919,281
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	816,971	773,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,607,212	13,726,017
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,424,183	14,499,826
სულ ვალდებულებები		6,517,543	16,419,107
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		58,250,302	50,616,304

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ **შენიშვნა: 2**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

თამაზ ფიროსმანაშვილი

შპს "MAGNIUM +"

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 *
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	5,691,081	5,286,986
არამატერიალური აქტივები	7	60,795	52,688
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,751,876	5,339,674
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	34,344,933	20,899,442
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	15,538,715	18,570,937
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,614,778	5,806,251
სულ მიმდინარე აქტივები		52,498,426	45,276,630
სულ აქტივები		58,250,302	50,616,304
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	8,830	8,830
გაუნაწილებელი მოგება	11	51,683,774	34,188,367
გადაანგარიშების ეფექტი		7,236	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი		51,699,840	34,197,197
არამაკონტროლებელი წილი		32,919	-
სულ კაპიტალი		51,732,759	34,197,197
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	1,093,360	1,919,281
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,093,360	1,919,281
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	816,971	773,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,607,212	13,726,017
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,424,183	14,499,826
სულ ვალდებულებები		6,517,543	16,419,107
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		58,250,302	50,616,304

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ **შენიშვნა: 2**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

თამაზ ფიროსთაძე



9-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს "MAGNIUM +"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 *
საოპერაციო შემოსავალი	14	81,795,541	70,902,642
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(56,164,455)	(51,934,081)
საერთო მოგება		25,631,086	18,968,561
დისტრიბუციის ხარჯები	16	(499,472)	(66,900)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(9,201,969)	(6,386,795)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	18	6,124,870	(308,316)
ფინანსური ხარჯი	19	(190,909)	(318,812)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	20	(460,636)	1,289,870
მოგება დაბეგვრამდე		21,402,970	13,177,608
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(653,591)	(35,287)
წლის წმინდა მოგება		20,749,379	13,142,321
უცხოური ვალუტის წარდგენის გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი		7,236	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		20,756,615	13,142,321

მათ შორის:	2023	2022
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი	20,723,696	13,142,321
არამაკონტროლებელი წილი	32,919	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	20,756,615	13,142,321

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ შენიშვნა: 2

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

თამაზ ფიროსმანაშვილი

შპს "MAGNIUM +"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 *
საოპერაციო შემოსავალი	14	81,795,541	70,902,642
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(56,164,455)	(51,934,081)
საერთო მოგება		25,631,086	18,968,561
დისტრიბუციის ხარჯები	16	(499,472)	(66,900)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(9,201,969)	(6,386,795)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	18	6,124,870	(308,316)
ფინანსური ხარჯი	19	(190,909)	(318,812)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	20	(460,636)	1,289,870
მოგება დაბეგვრამდე		21,402,970	13,177,608
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(653,591)	(35,287)
წლის წმინდა მოგება		20,749,379	13,142,321
უცხოური ვალუტის წარდგენის გადანაგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი		7,236	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		20,756,615	13,142,321
მათ შორის:			
		2023	2022
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი		20,723,696	13,142,321
არამაკონტროლებელი წილი		32,919	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		20,756,615	13,142,321

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ შენიშვნა: 2

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი



9-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს "MAGNIUM +"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 11)	გაუნაწილებელი მოგება	გადაანგარიშების ეფექტი	არამაკონტროლებელი წილის	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	8,830	23,014,466	-	-	23,023,296
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	13,142,321	-	-	13,142,321
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 11)	-	(1,968,420)	-	-	(1,968,420)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	8,830	34,188,367	-	-	34,197,197
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	20,716,460	-	32,919	20,749,379
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 11)	-	(3,221,053)	-	-	(3,221,053)
უცხოური ვალუტის წარდგენის გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი	-	-	7,236	-	7,236
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,830	51,683,774	7,236	32,919	51,732,759

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ **შენიშვნა: 2**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი

შპს "MAGNIUM +"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 11)	გაუნაწილებელი მოგება	გადაანგარიშების ეფექტი	არამაკონტროლებელი წილის	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	8,830	23,014,466	-	-	23,023,296
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	13,142,321	-	-	13,142,321
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 11)	-	(1,968,420)	-	-	(1,968,420)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	8,830	34,188,367	-	-	34,197,197
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	20,716,460	-	32,919	20,749,379
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 11)	-	(3,221,053)	-	-	(3,221,053)
უცხოური ვალუტის წარდგენის გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი	-	-	7,236	-	7,236
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,830	51,683,774	7,236	32,919	51,732,759

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ შენიშვნა: 2

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

თამაზ ფიროსმანაშვილი



9-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს “MAGNIUM +“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 *
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		21,402,970	13,177,608
კორექტირებები:			
- ცვეთა და ამორტიზაცია	17	325,375	249,001
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა		190,909	306,732
- გაუფასურების ზარალი	9	947,047	586,176
- მოგება / (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	20	460,636	(1,289,870)
- უცხოური ვალუტის წარდგენის გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი		7,236	-
მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		325,592	118,935
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა) / შემცირება		2,451,295	(9,102,512)
მარაგების ზრდა		(13,771,082)	(2,853,858)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(9,585,437)	7,286,391
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,754,541	8,478,603
გადახდილი პროცენტი		(190,909)	(300,726)
გადახდილი მოგების გადასახადი		(653,591)	(35,287)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,910,041	8,142,590
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(720,175)	(1,646,786)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(17,402)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(737,577)	(1,646,786)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		6,676,230	20,622,867
მიღებული სესხების დაფარვა		(7,485,512)	(19,424,986)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		-	(47,513)
გადახდილი დივიდენდები	11	(3,221,053)	(1,968,420)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(4,030,335)	(818,052)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება) წლის განმავლობაში		(2,857,871)	5,677,752
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(333,602)	(136,492)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	5,806,251	264,991
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	2,614,778	5,806,251

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოდგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ შენიშვნა: 2

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი
 თამაზ ფიროსმანაშვილი

9-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს "MAGNIUM +"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 *
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		21,402,970	13,177,608
კორექტირებები:			
- ცვეთა და ამორტიზაცია	17	325,375	249,001
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა		190,909	306,732
- გაუფასურების ზარალი	9	947,047	586,176
- მოგება / (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	20	460,636	(1,289,870)
- უცხოური ვალუტის წარდგენის გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი		7,236	-
მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		325,592	118,935
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა) / შემცირება		2,451,295	(9,102,512)
მარაგების ზრდა		(13,771,082)	(2,853,858)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(9,585,437)	7,286,391
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,754,541	8,478,603
გადახდილი პროცენტი		(190,909)	(300,726)
გადახდილი მოგების გადასახადი		(653,591)	(35,287)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,910,041	8,142,590
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(720,175)	(1,646,786)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(17,402)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(737,577)	(1,646,786)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		6,676,230	20,622,867
მიღებული სესხების დაფარვა		(7,485,512)	(19,424,986)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		-	(47,513)
გადახდილი დივიდენდები	11	(3,221,053)	(1,968,420)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(4,030,335)	(818,052)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება) წლის განმავლობაში			
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა		(333,602)	(136,492)
ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	5,806,251	264,991
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	2,614,778	5,806,251

* 2022 წლის ანგარიშგება წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, იხილეთ შენიშვნა: 2

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

თამაზ ფიროსმანაშვილი

9-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.



1. ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „MAGNIUM+“ - ის (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანია შპს „MICA“-ს (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. შპს „MAGNIUM+“ (ს.კ.: 400019494) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 14/04/2011. ჯგუფის იურიდიული მისამართია ისნის რაიონი, ვაჟისუბანი III მ/რ, I კვ, კორპ № 6, ბ. 18, თბილისი, საქართველო.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "MICA" 190553661 დარეგისტრირებულია 190553661 საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრით (TIN) აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურში 2023 წლის 30 მარტს. კომპანიის აქციონერები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ შემდეგი: შპს „MAGNIUM+“ – 90% და თამაზ ფიროსმანაშვილი - 10%. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა გათბობისა და გაგრილების სისტემების საბითუმო ვაჭრობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

ჯგუფის დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის თამაზ ფიროსმანაშვილი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

2.1.1. წარდგენის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებებს, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.1.2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ჯგუფი ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც,

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.1.3 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „MICA“-ს ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2023 წლის განმავლობაში „MAGNIUM+“ ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2023
შპს „MICA“	შვილობილი	90 %

2.2. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

საქონლის რეალიზაციით შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოვლენული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად დღგ).

2.3. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღრიცხვება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მიწუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა	5-7
სხვა	5
მიწა	არ იცვითება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღიარდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.4. იჯარა

იჯარის დაწყების დღეს, საიჯარო ვალდებულება იზომება მომავალი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით. აქტივების გამოყენების უფლების თავდაპირველი აღიარება ხდება საიჯარო ვალდებულების სიდიდით, იზრდება რომელიმე ადრე განხორციელებული საიჯარო გადასახდელით (მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით), ჯგუფი მიერ გაწეული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით და ჯგუფის მიერ განხორციელებული დემონტაჟისა და აღდგენის ხარჯების შეფასებით.

საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალში, თუ ისინი პირდაპირ არ მიეკუთვნება განსაკუთრებულ აქტივებს, რა შემთხვევაშიც ხდება მათი კაპიტალიზაცია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თაობაზე ჯგუფის ძირითადი პოლიტიკის შესაბამისად. პირობითი საიჯარო გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური იჯარის პირობებში, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა, აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშობა საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის ხარჯი ერიცხება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (5 წელი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ მსგავსი მომსახურების ვადა უსასრულო არ არის. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.6. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.7. მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

მომგელებული მარაგების ჩამოწრა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დავიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) კომპანიამ გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) კომპანიას არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებასაც მოელოს ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის

მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანება, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტის სესხების შემთხვევაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

2.10. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

2.11. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.12. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2.92	3.08
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	3.22	3.81

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.13. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახადი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2.14. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.15. წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გამოწვეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობიანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-9 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,744,721 ლარს და 2,797,674 შესაბამისად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს, როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- გადასვლის ოფციონი მზღვევლებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 12 „მოგების გადასახადები“- შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).
- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)

სხვა სტანდარტები

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს "MAGNIUM +"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	1,083,855	2,292,011	161,045	174,732	401,117	302,370	4,415,130
შეძენა	1,444,715	86,572	35,993	4,307	-	75,199	1,646,786
31 დეკემბერი 2022	2,528,570	2,378,583	197,038	179,039	401,117	377,569	6,061,916
შეძენა	-	-	24,461	135,204	533,152	27,575	720,392
გადაანგარიშების ეფექტი	-	-	-	(52)	(152)	(13)	(217)
31 დეკემბერი 2023	2,528,570	2,378,583	221,499	314,191	934,117	405,131	6,782,091
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	-	229,227	69,268	67,957	114,227	53,789	534,468
ცვეთა	-	89,705	27,055	23,504	38,658	61,540	240,462
31 დეკემბერი 2022	-	318,932	96,323	91,461	152,885	115,329	774,930
ცვეთა	-	89,705	31,863	34,401	91,296	68,815	316,080
31 დეკემბერი 2023	-	408,637	128,186	125,862	244,181	184,144	1,091,010
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	2,528,570	2,059,651	100,715	87,578	248,232	262,240	5,286,986
31 დეკემბერი 2023	2,528,570	1,969,946	93,313	188,329	689,936	220,987	5,691,081

სს საქართველოს ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების შესაბამისად იპოთეკით დატვირთულია შემდეგი უძრავი ქონება: მიწა 2,528,570 ლარის (2022 წელი: 2,528,570 ლარი) და შენობა-ნაგებობები 1,969,946 ლარის (2022 წელი: 2,059,651 ლარი). ჯგუფს ბალანსზე არ უზის სრულად გაცეტილი ძირითადი საშუალებები.

შპს "MAGNIUM +"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ERP პროგრამები
31 დეკემბერი 2021	87,970
შემენა	-
31 დეკემბერი 2022	87,970
შემენა	17,420
გადაანგარიშების ეფექტი	(18)
31 დეკემბერი 2023	105,372
ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2021	26,744
ამორტიზაციის ხარჯი	8,538
31 დეკემბერი 2022	35,282
ამორტიზაციის ხარჯი	9,295
31 დეკემბერი 2023	44,577
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	52,688
31 დეკემბერი 2023	60,795

არამატერიალურ აქტივები წარმოადგენს ERP პროგრამებს, რომლებიც გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობების აღრიცხვისათვის.

8. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
HVAC სისტემები	33,449,580	19,043,881
საქონელი გზაში	1,616,330	2,250,978
სხვა მარაგები	38,736	38,704
მარაგების მოძველების რეზერვი	(759,713)	(434,121)
სულ მარაგები	34,344,933	20,899,442

-

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	13,354,638	9,517,964
გაუფასურების რეზერვი	(3,744,721)	(2,797,674)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	9,609,917	6,720,290
საგადასახადო აქტივი	254,251	-
გადახდილი ავანსები	5,674,547	11,850,647
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,538,715	18,570,937

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი. მოთხოვნების რეზერვის და ჩამოწერის ხარჯი არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი.

შპს "MAGNIUM +"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაშლა ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

წლის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება შემდეგნაირია:

1 იანვარი 2022	2,211,498
გაუფასურების ხარჯი	586,176
31 დეკემბერი 2022	2,797,674
გაუფასურების ხარჯი	947,047
31 დეკემბერი 2023	3,744,721

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	1,899,892	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	714,531	3,349,932
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	111	2,455,935
სხვა	244	384
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,614,778	5,806,251

11. კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც ჯგუფის დაუფროვდა წლების განმავლობაში. 2023 და 2022 წლის განმავლობაში ჯგუფის საწესდებო კაპიტალში არ მომხდარა ცვლილება.

2023 წლის განმავლობაში ჯგუფის გამოცხადებული დივიდენდი შეადგენს 3,221,053, 2022 წლის განმავლობაში ჯგუფის გამოცხადებული დივიდენდი შეადგენს 1,968,420 ლარს.

12. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სს საქართველოს ბანკი	1,093,360	1,919,281
სულ გრძელვადიანი სესხები	1,093,360	1,919,281
სს საქართველოს ბანკი	816,971	773,809
სულ მოკლევადიანი სესხები	816,971	773,809
სულ მიღებული სესხები	1,910,331	2,693,090

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

მომრავლობა:	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	2,693,090	2,346,634
სესხის აღება	6,676,230	20,622,867
გადახდილი ძირი	(7,485,512)	(19,424,986)
გადახდილი პროცენტი	(190,910)	(300,726)
საკურსო სხვაობების ეფექტი	26,524	(857,431)
საპროცენტო ხარჯი	190,909	306,732
31 დეკემბერი	1,910,331	2,693,090

სესხები მიღებულია დოლარში, საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ბანკიდან მიღებული სესხებისათვის წარმოადგენს 6%-დან 8% მდე.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	3,687,252	10,578,900
გადახდილი ავანსები	913,007	2,674,564
საგადასახადო ვალდებულება	6,953	472,553
სულ კრედიტორული და სხვა დავალიანება	4,607,212	13,726,017

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაშლა ვალუტების მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 22-ში.

14. საოპერაციო შემოსავალი

ჯგუფის საოპერაციო შემოსავალი 2023 და 2022 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი დილერებზე რეალიზაციიდან	64,272,960	51,250,797
შემოსავალი ექსპორტიდან	17,481,483	19,637,460
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	41,098	14,385
სულ საოპერაციო შემოსავალი	81,795,541	70,902,642

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
დილერებზე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	43,407,717	36,053,665
ექსპორტზე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12,738,664	15,874,090
საცალო მომხმარებლებზე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18,074	6,326
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	56,164,455	51,934,081

16. დისტრიბუციის ხარჯები

ჯგუფის დისტრიბუციის ხარჯები 2023 და 2022 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
საშუამავლო მომსახურება	425,826	39,057
სხვა	73,646	27,843
სულ დისტრიბუციის ხარჯები	499,472	66,900

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	4,990,648	3,954,346
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	947,047	586,176
იჯარის გადასახადი	630,412	249,680
მივლინების ხარჯი	559,476	156,721
ცვეთა და ამორტიზაცია	325,375	249,000
წარმომადგენლობითი ხარჯი	306,425	397,429
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერის ხარჯი	261,279	55,407
საგადასახადო ხარჯი	156,587	74,343
ბანკის საკომისიო	50,183	37,970
კომუნალური ხარჯი	46,210	44,856
მოვლისა და შენახვის ხარჯი	23,248	23,930
სხვა	905,079	556,937
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9,201,969	6,386,795

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა

ჯგუფის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები 2023 და 2022 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
ვალის პატიება*	6,082,993	15,296
სხვა	75,380	-
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6,158,373	15,296
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი უზუსტობები	(19,523)	-
წარმომადგენლობის ხარჯი	-	(323,612)
სხვა ხარჯი	(13,980)	-
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(33,503)	(323,612)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	6,124,870	(308,316)

* ვალის პატიება წარმოადგენს 2023 წლის განმავლობაში მომწოდებელი კონტრაგენტისგან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების პატიებას.

19. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი ბანკის და ფიზიკური პირის სესხებზე	190,909	306,732
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	-	12,080
სულ ფინანსური ხარჯი	190,909	318,812

20. მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2023	2022
რეალიზებული ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	312,744	(136,492)
არარეალიზებული მოგება სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(773,380)	1,426,362
სულ მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(460,636)	1,289,870

21. მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელში დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიის მფლობელზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

2023 და 2022 წლის განმავლობაში ჯგუფის მოგების გადასახადმა შეადგინა: 653,591 ლარი და 35,287 ლარი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

22. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას ჯგუფს გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- **ლიკვიდობის რისკი:** რისკი იმისა, რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

- **საბაზრო რისკები:** რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ჯგუფი იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,354,638	9,517,964
(გაუფასურების რეზერვამდე)		
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,614,534	5,805,867
სულ ფინანსური აქტივები	15,969,172	15,323,831

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სესხები	1,910,331	2,693,090
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,687,253	10,578,900
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,597,584	13,271,990

საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,354,638	9,517,964
ფულადი სახსრები ბანკში	2,614,534	5,805,867
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	15,969,172	15,323,831

ჯგუფი წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის გასაჩივრებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ანალიზი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	13,354,638	-	-	13,354,638
ფული და ფულის ექვივალენტები	2,614,534	-	-	2,614,534
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,969,172	-	-	15,969,172

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	816,971	1,093,360	-	1,910,331
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,687,253	-	-	3,687,253
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,504,224	1,093,360	-	5,597,584

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	9,517,964	-	-	9,517,964
ფული და ფულის ექვივალენტები	5,805,867	-	-	5,805,867
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,323,831	-	-	15,323,831

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	773,809	1,919,281	-	2,693,090
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,578,900	-	-	10,578,900
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,352,709	1,919,281	-	13,271,990

ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში, ამისთვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 10). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზარდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

შპს "MAGNIUM +"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	აზერ. მანათი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	10,174,492	1,794,374	1,385,665	107	13,354,638
ფული და ფულის ეკვივალენტები	714,774	7	1,899,648	105	2,614,534
31 დეკემბერი 2023	10,889,266	1,794,381	3,285,313	212	15,969,172

	ლარი	ჩინური იუანი	აშშ დოლარი	ევრო	აზერ. მანათი	სულ
სესხები	-	-	1,910,331	-	-	1,910,331
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,976,694	1,314,162	236,247	58,765	101,385	3,687,253
31 დეკემბერი 2023	1,976,694	1,314,162	2,146,578	58,765	101,385	5,597,584

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	8,396,882	1,121,082	-	9,517,964
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,346,494	2,458,998	375	5,805,867
31 დეკემბერი 2022	11,743,376	3,580,080	375	15,323,831

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	-	2,693,090	-	2,693,090
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	151,767	10,083,549	343,584	10,578,900
31 დეკემბერი 2022	151,767	12,776,639	343,584	13,271,990

გრძნობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის გრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 10%-ით ცვლილების შემთხვევაში. 10% არის გრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. გრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2023	ჩინური იუანი	აშშ დოლარი	ევრო	აზერ. მანათი
+10%	(131,416)	(35,220)	322,655	(10,117)
-10%	131,416	35,220	(322,655)	10,117

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022	აშშ დოლარი	ევრო
+10%	(919,656)	(34,321)
-10%	919,656	34,321

შპს "MAGNIUM +"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფს არ გააჩნია ისეთი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც უნდა იყოს აღნიშნული მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ხელმძღვანელობის ანაზღაურებისა, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2023	2022
ხელფასი	555,000	338,738

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2024 წელს ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 2,105,263 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო სესხის სახით 34,333,250 ათასი ლარის სესხი და გადაიხადა 24,239,622 ლარის სესხის ძირი თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

**შპს „MAGNIUM+“
მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის დასრულებული წლისათვის**

ორგანიზაციის ბიზნეს განვითარება ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

შპს „MAGNIUM+“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ცენტრალური კონდიციონერები გათბობით საცალო და საბითუმო ვაჭრობას. ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს: ქ. თბილისი, დილომი, ანდრონიკაშვილის 4გ. ჯგუფი იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს. ჯგუფის მფლობელი 31 დეკემბერი 2023-2022 წლებში არის თამაზ ფიროსმანაშვილი 100% 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალი შეადგენდა **51,699,840 ლარს**, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალი შეადგენდა **34,197,197 ლარს**, შემოსავალი 2023 წელში 81,795,541 ლარია. შემოსავალი 2022 წელში - 70,902,642 ლარი.

ჯგუფმა 2023 წლის 30 მარტს დააარსა შვილობილი შპს „MICA“ და წარმოადგენს მის 90%-იან მფლობელს.

ჯგუფის სტრატეგია

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, ისევე როგორც ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და ამავდროულად იმის ხაზგასმაც, რომ მომხმარებელს სთავაზობს სანდრო მწარმოებლის მიერ დამზადებულ პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი ბაზარს ამარაგებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციით და ქმნის საქართველოზე ადაპტირებულ მოქნილ სერვისებს. საერთაშორისო გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გაზიარებით ვქმნით და ვამაღლებთ ხარისხის სტანდარტებს HVAC ბაზარზე. Midea Group-ის ავტორიზებული ოფისი საქართველოში საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციის და სერვისის ოპტიმალურ კომბინაციას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაციის სამომავლო გეგმები

ჯგუფის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდა
- ახალი მომხმარებლის მოზიდვა
- საბაზრო წილის ზრდა
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება
- ახალი მიმართულებების განვითარება
- ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს

	2023	2022
საოპერაციო შემოსავალი	81,795,541	70,902,642
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(56,164,455)	(51,934,081)
საერთო მოგება	25,631,086	18,968,561
დისტრიბუციის ხარჯები	(499,472)	(66,900)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(9,201,969)	(6,386,795)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	6,124,870	(308,316)
ფინანსური ხარჯი	(190,909)	(318,812)
მოგება საკუროს სხვაობიდან, წმინდა	(460,636)	1,289,870
მოგება დაბეგვრდამდე	21,402,970	13,177,608
მოგების გადასახადის ხარჯი	(653,591)	(35,287)
წლის წმინდა მოგება	20,749,379	13,142,321
უცხოური ვალუტის წარდგენის გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავალი	7,236	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	20,756,615	13,142,321

სხვა არსებითი მაჩვენებლები შემდეგია:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ჯგუფის პერსონალი შედგებოდა 71 თანამშრომლისგან, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 65 თანამშრომლისგან. სახელფასო ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,990,648 და 3,954,346 ლარია.

ამონაგები 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გაზრდილია რაც გამოწვეულია იმ ფაქტით რომ ჯგუფი აქტიურად ცდილობს ინოვაციური ტექნიკით მომხმარებელთა სეგმენტის გაზრდას, ასევე ყოველდღიურად აქტიურად ეძებს საექსპორტო სავაჭრო პარტნიორებს, რათა შემოსავლის მაჩვენებელი გაზარდოს და კვლავ ლიდერად დარჩეს ქვეყნის ბაზარზე.

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

აქტივები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5,691,081	5,286,986
არამატერიალური აქტივები	60,795	52,688
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,751,876	5,339,674
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	34,344,933	20,899,442
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,538,715	18,570,937
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,614,778	5,806,251
სულ მიმდინარე აქტივები	52,498,426	45,276,630
სულ აქტივები	58,250,302	50,616,304
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8,830	8,830
გაუნაწილებელი მოგება	51,683,774	34,188,367
გადაანგარიშების ეფექტი	7,236	-
სულ კაპიტალი	51,699,840	34,197,197
არამაკონტროლებელი წილი	32,919	-
სულ კაპიტალი	51,732,759	34,197,197
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	1,093,360	1,919,281
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,093,360	1,919,281
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	816,971	773,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,607,212	13,726,017
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,424,183	14,499,826
სულ ვალდებულებები	6,517,543	16,419,107
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	58,250,302	50,616,304

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა (გაგრძელება)

საქმიანობის კოეფიციენტები

	2023	2022	ცვლილება	ტრენდი
მარაგების ბრუნვა (წელი)	1.64	2.48	(0.85)	-34%
მარაგების ბრუნვა (დღე)	223.20	146.88	76.32	52%
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი)	5.26	3.82	1.45	38%
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე)	69.34	95.60	(26.26)	-27%
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი)	68.75	67.11	1.63	2%
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)	5.31	5.44	(0.13)	-2%
ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი	287	237	50.18	21%

კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

მარაგების ბრუნვა (წელი) = გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება / მარაგები

მარაგების ბრუნვა (დღე) = 365 / მარაგების ბრუნვა (წელი)

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი) = ამონაგები / სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე) = 365 / სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი)

სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი) = გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება /

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე) = 365 / სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი)

ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი = მარაგების ბრუნვა (დღე) + სავაჭრო მოთხოვნების

ბრუნვა (დღე) - სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

	2023	2022	ცვლილება	ტრენდი
მიმდინარე ლიკვიდურობა	9.68	3.12	6.56	210%
სწრაფი ლიკვიდურობა	3.35	1.68	1.67	99%

სასესხო ვალდებულების დაფარვის კოეფიციენტები

	2023	2022	ცვლილება	ტრენდი
სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან	11%	35%	(0.24)	-69%
სასესხო ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან	11%	46%	(0.35)	-76%

უკუგების კოეფიციენტები

	2023	2022	ცვლილება	ტრენდი
აქტივების უკუგება (ROA)	36%	26%	0.10	37%
კაპიტალის უკუგება (ROE)	40%	38%	0.02	4%

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

მიმდინარე ლიკვიდურობა = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდურობა = (ფული და ფულის ეკვივალენტები+სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)/
მიმდინარე ვალდებულებები

სასესხო ვალდებულების დაფარვის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან = სასესხო ვალდებულებები/ სულ აქტივები

სასესხო ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან = სასესხო ვალდებულებები/ სულ კაპიტალი

უკუგების კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

აქტივების უკუგება (ROA) = წლის მოგება/სულ აქტივები

კაპიტალის უკუგება (ROE) = წლის მოგება/სულ კაპიტალი

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადის რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკის მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის საკმაოდ დიდი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვაზე. საკრედიტო ვადა მათთვის 30-90 დღემდეა. ზოგიერთ შემთხვევაში ვადა 6 თვეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების რეზერვირება მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ჯგუფი მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

- სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების შედარებით მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: ჯგუფს არ აქვს შემუშავებული ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის სამართავად, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ და დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბანკო სესხების 100% დენომინირებულია აშშ დოლარში.
- საკრედიტო რისკი – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს მას დროულად. შესაბამისად, ეს ჯგუფისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა (გაგრძელება)

- პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

შპს „MAGNIUM+“ დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი
30 სექტემბერი 2024 წელი

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა (გაგრძელება)

- პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

შპს „MAGNIUM+“ დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი
30 სექტემბერი 2024 წელი

